სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის ანალიზი!

2023 წლის 6 სექტემბერს, სამოქალაქო საზოგადოება ევროპამ გამოაქვეყნა თავისი ანგარიში სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის შესახებ (CS SOTEU). ანგარიში მოიცავს 43 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ხედვებსა და რეკომენდაციებს **უფრო დემოკრატიული და სამართლიანი ევროკავშირისთვის,** როგორც სოციალური, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.

ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო კოალიცია, რომლებიც მოღვაწეობენ ევროკავშირის დონეზე, მათ შორის ALDA.

2023 წლის თებერვლის დასაწყისში, CSE-მ შექმნა ახალი სამუშაო ჯგუფი, ევროპის მომავლის კონფერენციის (CoFoE) შემდგომი სამუშაოების გაგრძელების მიზნით. ეს **სამუშაო ჯგუფი** შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით. ამგვარად, სამუშაო ჯგუფი აგრძელებს 2021-2022 წლებში ევროპის მომავლის კონფერენციის სამოქალაქო საზოგადოების კონვენციის (CSOCoFoE) ფარგლებში დაწყებულ თანამშრომლობას.

სამუშაო ჯგუფი იყოფა **თემატურ ქვეჯგუფებად,** რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი ან ორი სამოქალაქო ორგანიზაცია. მათ მოამზადეს ანგარიშები ისეთ თემებზე, როგორიცაა დემოკრატია, ფუნდამენტური უფლებები, სამოქალაქო სივრცე, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, მიგრაცია და თავშესაფარი,

თავისუფალი გადაადგილება, სოციალური უფლებები და სამართლიანობა, კლიმატის ცვლილება და სხვა გარემოსდაცვითი გამოწვევები, ციფრული ტრანსფორმაცია და ადამიანის უსაფრთხოება.

ALDA-ს კოალიცია მოუწოდებს ევროკავშირის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რომ 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში **სამოქალაქო სივრცე** და **სამოქალაქო დიალოგი** ცენტრალურ თემებად აქციონ და მომავალმა ევროპარლამენტმა და ევროკომისიამ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გადადგან რეალური, მნიშვნელოვანი ნაბიჯები **სამოქალაქო საზოგადოების უკეთესად აღიარების, დაცვისა და ჩართვისთვის ყველა დონეზე.**

ALDA პან-ევროპულ ქსელთან, ევროპის სამოქალაქო ფორუმთან (ECF) ერთად კოორდინირებას უწევდა ანგარიშის მომზადების პროცესს, რომელშიც საუბარია დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ღირებულებებისა და ევროკავშირის შესახებ მსოფლიოში.

ანგარიში მოიცავს შემდეგ თემებს:

1. დემოკრატიის, ფუნდამენტური უფლებების გაძლიერება და სამოქალაქო სივრცის შექმნა ევროკავშირსა და მსოფლიოში;
2. თავისუფალი გადაადგილებისა და სოლიდარობის გაძლიერება უფრო ინკლუზიური ევროპული საზოგადოებისთვის;
3. სოციალურად სამართლიანი ევროკავშირი;
4. კლიმატის ცვლილების შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა და (გლობალური) გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარება;
5. ციფრული ტრანსფორმაცია;
6. ევროპული საზოგადოების მომავლის დაცვა ადამიანზე ორიენტირებული უსაფრთხოების პოლიტიკის საშუალებით.

ALDA-სა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციას აქვს ხედვა იმ საკითხის შესახებ თუ როგორ ჩართონ მოქალაქეები აქტიურად გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაუჩნდეთ ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. ევროკავშირი დაიცავს კანონის უზენაესობას, დაიცავს ფუნდამენტურ უფლებებს და ხელს შეუწყობს თანასწორობასა და სოციალურ თანადგომას.

ევროპის მომავლის კონფერენციის (CoFoE) შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, რამაც ევროკავშირის დემოკრატიისა და ღირებულებების ლანდშაფტი ჩამოაყალიბა.
ევროპის მომავლის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების კონვენციის (CSOCoFoE) ანგარიშმა, მოქალაქეთა პანელებმა და კონფერენციის შემდგომ ინიციატივების წინასწარმა შეფასებამ მოგვცა ღირებული ინფორმაცია არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.
ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია განვიხილოთ არასამთავრობო სექტორების მუშაობა, რათა გამოვლინდეს ის სფეროები, რომლებიც სასწრაფო ყურადღებას და მოქმედებას მოითხოვს.

ღონისძიებაზე მოეწყო პანელური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა სპიკერებმა: პროფესორი **მარია დუსელ პატრონაჟი** - ევროპული ჯგუფის ეთიკის მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების თავმჯდომარის მოადგილე; ბატონი **ჯიაკომო ფილიბეკი** - ევროპელ სოციალისტთა პარტიის გენერალური მდივანი და ქალბატონი **ინგრიდ ბელანდერ ტოდინო**, ევროკომისიის ფუნდამენტური უფლებების განყოფილების ხელმძღვანელი.

იხილეთ სრული ანგარიში.

Office in Strasbourg
Council of Europe 1,
Av. de l'Europe
F-67075 Strasbourg, France
+33 3 90 21 45 93
aldastrasbourg@alda-europe.eu

Office in Brussels
26 rue de la Loi,
Mercator Building
4th Floor - Salon for European Civic Organisations
Brussels 1040, Belgium
aldabrussels@alda-europe.eu

Office in Vicenza
Viale Milano 36
36100 Vicenza, Italy
+39 04 44 54 01 46
aldavicenza@alda-europe.eu

Office in Skopje
Bld. Partizanski Odredi 43B/1-5
Skopje, 1000
North Macedonia
+389 (0) 2 6091 060
aldaskopje@alda-europe.eu

Office in Chisinau
Str. București Nr. 93 Of. 3.
Chișinău, MD-2012
Republic of Moldova
aldamoldova@alda-europe.eu

Office in Tunis
Rue Brahim Jaffel,
Imm. Azaiez
2 floor, Apt 4 El Menzah 4,
Tunis 1082, Tunisia
aldatunisia@alda-europe.eu

www.alda-europe.eu alda@alda-europe.eu ALDA.Europe ALDAeurope aldaeurope AldaEu